საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში

25 სექტემბერი – 24 ოქტომბერი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში

25 სექტემბერი – 24 ოქტომბერი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

თბილისი
2021

კვლევის ხელმძღვანელები: ნიკოლოზ სიმონიშვილი
ვახუშტი მენაბდე

წამყვანი მკვლევარები: მარიამ ლაცაბიძე
თამარ ხუხია

მკვლევარები: თათია მიქელაძე
ნიკოლოზ ოდიკაძე
კოკა კიღურაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

1. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები 5

2. პოლიტიკური პარტიებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა 7

3. სხვა ფაქტები 11

შემთხვევა, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდში (1-ლი აგვისტო – 24 სექტემბერი) მოხდა, მაგრამ საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შესაბამის ანგარიშში არ შევიდა, იმ მომენტისთვის მასზე საკმარისი ინფორმაციის არქონის გამო 13

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2021 წლის მაისიდან დაიწყო პროექტის - „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია“ - იმპლემენტაცია. გრძელვადიანი დაკვირვების მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება.

2021 წლის 2 ოქტომბერს არჩევნების პირველი ტური ჩატარდა,[1] თუმცა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობისთვის ხმათა საჭირო რაოდენობა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა.[2] ცესკოს განკარგულებებით, 30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტური დაინიშნა.[3]

წინამდებარე დოკუმენტი 2021 წლის 25 სექტემბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით გამოვლენილი შემთხვევების შესახებ ინფორმაციას აერთიანებს და მათ შეფასებას ისახავს მიზნად (ანგარიშში არ შევიდა რამდენიმე ფაქტი, რომლებიც მითითებულ პერიოდში მოხდა, თუმცა ამ ეტაპზე მათი შესწავლა დასრულებული არ არის. ამ საქმეებზე შესაბამის დასკვნებამდე მისვლის შემთხვევაში, ორგანიზაცია უფლებას იტოვებს, მომდევნო ანგარიშებში ასახოს ისინი).

პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ერთი ფაქტი, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებულ მაჟორიტარობის კანდიდატს უკავშირდება. ამავე პერიოდში გახმაურდა ორი შემთხვევა, როდესაც, მოქალაქეების განცხადებით, პარტიათა საარჩევნო სიაში ისინი ნებართვის გარეშე, სავარაუდოდ, დოკუმენტების გაყალბების გზით მოხვდნენ. ანგარიშში შევიდა არჩევნებში ნების გამოვლენის სავარაუდო ხელშეშლის ფაქტიც - სამეგრელოში წინასაარჩევნოდ ათეულობით მოქალაქეს, სავარაუდოდ, პირადობის მოწმობები მოტყუებით ჩამოართვეს. კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები. 2 ოქტომბრამდე დაფიქსირდა რამდენიმე ძალადობრივი ქმედება, მათ შორის, სხვისი ნივთის დაზიანებისა და ფიზიკური თავდასხმის შემთხვევები.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ფიზიკური თავდასხმები მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდშიც მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. დროის ამ მონაკვეთში საიამ აღწერა პოლიტიკური პარტიებისთვის საქმიანობაში ხელშეშლის ორი შემთხვევა. ერთი ეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე მიმავალი მოქალაქეების შეურაცხყოფის ფაქტებს, ხოლო მეორე - „ევროპული საქართველოს“ მიმართ, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას, კერძოდ, შპს „ალმამ“ პარტიას უარი უთხრა ისეთი შინაარსის სააგიტაციო მასალის განთავსებაზე, რომლის მსგავსზეც სხვა სუბიექტს დასთანხმდა.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტები, რომლებიც მიმართული იყო როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის წინააღმდეგ.

---

[1] მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3no3X2k, განახლებულია: 23.10.2021.

[2] იქვე.

[3] ცესკოს 2021 წლის 16 ოქტომბრის განკარგულება №354/2021 თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/FRUAEsZ, განახლებულია: 20.10.2021; ცესკოს 2021 წლის 16 ოქტომბრის განკარგულება №355/2021 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/RRUAYyh, განახლებულია: 23.10.2021.

1. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები

საანგარიშო პერიოდში საიასთვის ცნობილი გახდა რამდენიმე სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ფაქტის შესახებ. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, სამართალდამცავი ორგანოები ქვემოთ მოყვანილი ყველა შემთხვევით უნდა დაინტერესდნენ. ფაქტების უმრავლესობა შეიცავს პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის,[4] ხოლო ერთი[5] - სხვისი ნივთის დაზიანების ნიშნებს,[6] რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებებია. აუცილებელია, შესაბამისმა უწყებებმა სათანადოდ შეისწავლონ ეს საქმეები და საზოგადოებას გამოძიების შედეგები ამცნონ.

ბესარიონ ბენდელიანის საქმე (პარტია „საქართველოსთვის“) - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

25 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ ცაგერის მერობის კანდიდატის ბესარიონ ბენდელიანის ავტომობილი დაცხრილეს.[7] ბენდელიანი მომხდარ ფაქტს თავის წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს.[8]

ნონა გრიგალაშვილის საქმე („ქართული ოცნება“) - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

„ქართული ოცნების“ კოორდინატორის ნონა გრიგალაშვილის თქმით, მას 27 სექტემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტში პარტია „საქართველოსთვის“ წაღვერის მაჟორიტარობის კანდიდატმა ჯონდო კაპანაძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[9] გრიგალაშვილი საუბრობს სიცოცხლის მოსპობის მუქარაზეც.[10] მისი განცხადებით, შემთხვევა „ქართული ოცნების“ სააგიტაციო მასალის დაზიანებას მოჰყვა, რაშიც მან კაპანაძე დაადანაშაულა.[11] კაპანაძე ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს უარყოფს.[12] შსს-მ ამ საკითხზე გამოძიება უკვე დაიწყო.[13]

როვშან ისკანდიროვის საქმე („ქართული ოცნება“) - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

30 სექტემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ როვშან ისკანდიროვს სცემეს.[14] მმართველი გუნდის წევრის, მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის ზაულ დარგალის განცხადებით, ისკანდიროვს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლაშა ქვალაძემ სცემა.[15] ეს უკანასკნელი პოლიციაში გამოკითხვაზე დაიბარეს.[16]

---

[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი (ძალადობა ამ მუხლის დამამძიმებელი გარემოებაა: 156-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
[5] ბესარიონ ბენდელიანის საქმე.
[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი.
[7] „ჩემი მანქანა დაცხრილეს - ცაგერის მერობის კანდიდატი გახარიას პარტიიდან“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 25 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/YRUAJg6, განახლებულია: 05.10.2021.
[8] იქვე.
[9] „გახარიას პარტიის წარმომადგენლის მიერ ნაცემი ქალი „ტვ მონიტორინგის“ კამერასთან ალაპარაკდა“, „ტვ მონიტორინგის“ ოფიციალური Youtube-არხი, 2021 წლის 28 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/XRUAVHP, განახლებულია: 05.10.2021.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-8 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3p1YVLc, განახლებულია: 13.10.2020.
[14] „ზაურ დარგალის ინფორმაციით, მარნეულში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატს სცემეს, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/sRUA10h, განახლებულია: 05.10.2021.
[15] იქვე.
[16] იქვე.

ნიკა ბაჩილავას საქმე („ნაციონალური მოძრაობა“) - მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

13 ოქტომბერს მარჯანიშვილის მოედანზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ნიკა ბაჩილავას ფიზიკურად გაუსწორდნენ.[17] მისი თქმით, სამსახურიდან სახლში დაბრუნების დროს სამი ადამიანი დაესხა თავს და ხელკეტებით სცემა. მისივე განცხადებით, თავდამსხმელებს ეკეთათ ნიღბები და მიხეილ სააკაშვილს აგინებდნენ. მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დაზარალებულმა პოლიციაში დარეკა, თუმცა ის ადგილზე არ მისულა. ნიკა ბაჩილავა ამ ინციდენტს პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებას უკავშირებს და მიიჩნევს, რომ თავდამსხმელები „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული პირები იყვნენ.[18]

ვახტანგ ქებაძის საქმე („ევროპული საქართველო“) - მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

14 ოქტომბერს პარტია „ევროპული საქართველოს“ რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ვახტანგ ქებაძეს თავს დაესხნენ.[19] მისი თქმით, იგი მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც 50-ზე მეტი ადამიანი გარს შემოეხვია, სამმა პირმა კი მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[20]

ფიზიკური დაპირისპირება რუსთავში - მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

ნაციონალური მოძრაობის რუსთავის მერობის კანდიდატის დავით კირკიტაძის შტაბთან მის მომხრეებსა და ოპონენტებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.[21] დაშავებულია დავით კირკიტაძის შტაბის სამი წევრი, აქედან ერთი, შავლეგო მანდარია, რუსთავის საკრებულოს წევრია.[22] შსს-მ გამოძიება ძალადობის[23] მუხლით დაიწყო.[24]

[17] „მარჯანიშვილის მოედანზე ენმ-ს წევრს თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“, 2021 წლის 13 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/tRUA5Fx, განახლებულია: 23.10.2021.
[18] იქვე.
[19] „რუსთავში ევროპული საქართველოს წევრს სცემეს“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“, 2021 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/KRUSwPt, განახლებულია: 24.10.2021.
[20] იქვე.
[21] ინციდენტი კირკიტაძის შტაბთან, ტელეკომპანია „ფორმულას“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3b8Uc2o, განახლებულია: 24.10.2021.
[22] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია (ფოტო-ვიდეო მასალა) 2021 წლის 24 ოქტომბერს დავით კირკიტაძის შტაბთან მომხდარი დაპირისპირების შესახებ.
[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.
[24] შსს-მ რუსთავში დავით კირკიტაძის საარჩევნო შტაბთან მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 24 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nkND2g, განახლებულია: 24.10.2021.

2. პოლიტიკური პარტიებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა

სააგიტაციო მასალის დაზიანება

საიასთვის ცნობილი გახდა კანდიდატთა ბანერებისა და პლაკატების დაზიანების არაერთი შემთხვევის შესახებ. კანონის მიხედვით, დაუშვებელია სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება.[25] თუ ზიანის ღირებულება აღემატება 150 ლარს, საქმე სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება.[26] საია მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, მაქსიმალურად მოკლე ვადებში გამოიძიონ ქვემოთ მოცემული ფაქტები და პასუხისმგებელი პირები გამოავლინონ, პარტიებმა კი მეტი ძალისხმევა მიმართონ ამგვარი შემთხვევების შემცირებასა და საკუთარ აქტივისტებთან მუშაობაზე.

ბანერების დაზიანება

ა) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატის ნიკა მელიას ბანერი ერთგან 27 სექტემბერს ჩამოხიეს,[27] ხოლო მეორეს 21 ოქტომბერს ცეცხლი წაუკიდეს.[28]

[25] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-7[1] ქვეპუნქტი.
[26] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[27] „ორხევში ნიკა მელიას ბანერი ჩამოხიეს“, მთავარი არხის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 27 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/iRUSrTW, განახლებულია: 07.10.2021.
[28] „თბილისში ნიკა მელიას ბანერის დაწვა სცადეს“, საინფორმაციო პორტალი „TV პირველი“, 2021 წლის 21 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ARUSy0g, განახლებულია: 24.10.2021.

ბ) „ქართული ოცნების“ ბანერები დააზიანეს თბილისში 25 და 26 სექტემბერს (2 შემთხვევა),[29] ქუთაისში - 7 ოქტომბერს (2 შემთხვევა) და ხელვაჩაურში - 9 ოქტომბერს (2 შემთხვევა).[30]



[29] „ქართული ოცნების“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია (ფოტომასალები) 20.09.2021-დან 28.09.2021-მდე პერიოდში მომხდარი დარღვევების შესახებ.

[30] „ქართული ოცნების“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია (ფოტომასალები) 07.10.2021-დან 09.10.2021-მდე პერიოდში მომხდარი დარღვევების შესახებ.

პლაკატების დაზიანება

ა) თბილისში, გლდანის ტერიტორიაზე, პარტია „საქართველოსთვის“ პლაკატები დააზიანეს.[31] ვიდეომასალაში ჩანს, რომ ამ ქმედების მონაწილე პირი ადასტურებს დავალების „ქართული ოცნებიდან“ მიღებას.[32] პარტიის პლაკატები დააზიანეს ასევე რეგიონებში: ბოლნისში (1 შემთხვევა), ვანში (5 შემთხვევა), საგურამოში (1 შემთხვევა), გორში (1 ლოკაციაზე 5 შემთხვევა), ჩხოროწყუში (1 შემთხვევა), ახმეტაში (1 ლოკაციაზე 12 პლაკატის დაზიანების შემთხვევა), ბაღდათში (3 შემთხვევა), სიღნაღსა (2 შემთხვევა) და ფოთში (9 შემთხვევა).[33]

ბ) ახმეტაში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატის ზურაბ ოტიაშვილის პლაკატები წითლად და შავად გადაღებეს.[34]

გ) დააზიანეს „ქართული ოცნების“ პლაკატებიც, კერძოდ, რუსთავში (1 შემთხვევა), თეთრიწყაროში (3 შემთხვევა), ყვარელში (2 შემთხვევა), დმანისსა (1 შემთხვევა) და სამტრედიაში (3 შემთხვევა).[35]

14 ოქტომბრის აქციასთან დაკავშირებული შემთხვევა - მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 14 ოქტომბერს თბილისში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ აქციაზე რეგიონებიდან მომავალ ავტოკოლონებს არაერთ ლოკაციაზე მოწინააღმდეგეები დახვდნენ.[36] კადრებში ჩანს, როგორ აგინებენ ისინი ავტომანქანებში მსხდომ პირებს,[37] ესვრიან ცოცხებს და დროშის ტარებს.[38] ასეთი შემთხვევები გამოვლინდა

[31] “Pre-election campaign against “ForGeorgia” party – Damaging posters of the party candidates“, პარტია „საქართველოსთვის“ ოფიციალური Youtube-არხი, 2021 წლის 27 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aeJdnl, განახლებულია: 07.10.2021.
[32] იქვე.
[33] იქვე.
[34] „ახმეტაში ენმ-ის მერობის კანდიდატის პლაკატები წითლად გადაღებეს“, საინფორმაციო პორტალი „ტვ პირველი“, 2021 წლის 25 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lfmnT0, განახლებულია: 07.10.2021.
[35] „ქართული ოცნების“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია (ფოტომასალები) 20.09.2021-დან 28.09.2021-მდე პერიოდში მომხდარი დარღვევების შესახებ.
[36] „აქცია-კონტრაქცია ცოცხებით“, ტელეკომპანია „FormulaTV”-ის ოფიციალური Youtube-არხი, 2021 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/GRUSsIs, განახლებულია: 23.10.2021.
[37] „იმერეთიდან აქციაზე მიმავალი კოლონა ცოცხებით გააცილეს“, ტელეკომპანია “Mega TV”-ის ოფიციალური Youtube-არხი, 2021 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/9RUSgco, განახლებულია: 23.10.2021.
[38] იქვე.

აბაშაში, ქუთაისში, სამტრედიაში, რუსთავში, გორსა და თელავში.[39] ამ ქმედებებში იკვეთება წვრილმანი ხულიგნობის ნიშნები.[40] საია შესაბამის უწყებებს სამართალდარღვევის მოცემულ ფაქტებზე სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდებს.

„ევროპულ საქართველოს“ პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე დისკრიმინაციულად უთხრეს უარი - მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

პარტია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და შპს „ალმას“ შორის 2021 წლის 1-ლ ოქტომბერს გაფორმდა სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულება.[41] შეთანხმების თანახმად, შპს „ალმას“ პარტიის სარეკლამო მასალა უნდა განეთავსებინა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ლოკაციებზე[42] მომსახურების ღირებულების გადახდიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.[43] „ევროპულმა საქართველომ“ თანხა 1-ლ ოქტომბერსვე გადაიხადა.[44] თუმცა, შპს „ალმამ“ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება არ შეასრულა და მხოლოდ 8 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც განთავსებისთვის განსაზღვრული ვადა ამოიწურა, პარტიას ფული დაუბრუნა.[45]

შპს „ალმას“ პარტიისთვის ხელშეკრულების პირობების დარღვევის მიზეზები არ განუმარტავს. მათ მხოლოდ საჯარო კომენტარი გააკეთეს, რომლითაც მოითხოვეს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანა და სიძულვილის ენის შემცველი პოლიტიკური რეკლამების განთავსების შეზღუდვა.[46] შპს-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომპანია უარს ეტყვის ნებისმიერ დამკვეთს სარეკლამო ბილბორდებზე ამგვარი რეკლამის განთავსებაზე, სანამ პარლამენტი შესაბამის კანონს არ მიიღებს.[47] თავის მხრივ, „ევროპულმა საქართველომ“ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. პარტიის აზრით, განსხვავებულ მოპყრობას მხოლოდ იმის გამო დაექვემდებარა, რომ მისი სარეკლამო მასალა ბიძინა ივანიშვილის კარიკატურას შეიცავდა. არადა, მოპასუხეს ე.წ. „სისხლიანი ბანერების“ დამკვეთისთვის უარი არ უთქვამს.[48]

დისკრიმინაციად მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირს რაიმე, მათ შორის პოლიტიკური, ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა სუბიექტებთან შედარებით.[49] ეს მოთხოვნა იურიდიული პირების ქმედებებზეც ვრცელდება მათი საქმიანობის ყველა სფეროში.[50] საია მიიჩნევს, რომ შპს „ალმამ“ პოლიტიკური რეკლამების (ე.წ. „სისხლიანი ბანერები“ და ბიძინა ივანიშვილის კარიკატურა) დამკვეთები არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა და ზემოხსენებულ პარტიას რეკლამის განთავსებაზე დისკრიმინაციულად უთხრა უარი.

[39] „ცოცხებიანი კონტრაქცია, რეგიონებიდან წამოსული კორდონები და პარალიზებული ქუჩები - რა ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციის დაწყებამდე“, საინფორმაციო პორტალი “Myvideo”, 2021 წლის 14 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/3RUSREA, განახლებულია: 24.10.2021.

[40] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

[41] პარტია „ევროპული საქართველოს“ მიერ მოწოდებული 2021 წლის 1-ლი ოქტომბრის ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურების შესახებ.

[42] პარტია „ევროპული საქართველოს“ მიერ მოწოდებული სარჩელი შპს „ალმას“ წინააღმდეგ და დანართები.

[43] იქვე.

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] „ალმა“ სიძულვილის შემცველი რეკლამის აკრძალვას ითხოვს, რომელსაც თავად ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 7 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/NRUSYNq, განახლებულია: 21.10.2021.

[47] იქვე.

[48] პარტია „ევროპული საქართველოს“ მიერ მოწოდებული სარჩელი შპს „ალმას“ წინააღმდეგ და დანართები.

[49] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[50] იქვე, მე-3 მუხლი.

3. სხვა ფაქტები

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მოსახლეობას წყლის ცისტერნები, სავარაუდოდ, საჩუქრად გადასცა - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

27 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ძიმითის, ასკანისა და ნაგომარის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ტიტე მგელაძემ სოფელ ძიმითის ერთ-ერთ უბანს წყლის ცისტერნები, სავარაუდოდ, საჩუქრად გადასცა.[51] კანდიდატმა სატელეფონო ინტერვიუში ფაქტი თავად დაადასტურა,[52] თუმცა შემდგომ უარყო. მისი განცხადებით, ეს სიტყვები „ნახევრად ხუმრობით“ თქვა და შემთხვევასთან არაფერი აკავშირებს.[53]

საკითხზე სასამართლომ 30 სექტემბერს იმსჯელა. მოსარჩელე მხარე მოითხოვდა როგორც მაჟორიტარობის, ისე ოზურგეთის მერობის კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნას.[54] მოსამართლემ მოსარჩელეთა პოზიცია არ გაიზიარა.[55] გადაწყვეტილების მიხედვით, მტკიცებულებათა ერთობლიობა ვერ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს. შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტს სასამართლომ რეგისტრაცია არ გაუუქმა.[56]

მოსამართლის გადაწყვეტილების მიუხედავად, ეს ფაქტი შეიცავს მაჟორიტარობის კანდიდატის მხრიდან სავარაუდო დანაშაულის - მოსყიდვის ნიშნებს.[57] ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების მიერ მოქალაქეებისთვის საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა.[58] მოცემულ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა, სავარაუდოდ, ეს წესი დაარღვია. სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ამ საქმით და საზოგადოებას გამოძიების შედეგები ამცნონ.

კოკა კაპანაძის საქმე - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

27 სექტემბერს კოკა კაპანაძისთვის ცნობილი გახდა, რომ ის რეგისტრირებულია პოლიტიკური პარტია „გირჩის“ პროპორციულ სიაში, ქარელის მუნიციპალიტეტის არჩევნებში, მე-4 ნომრად. კოკა კაპანაძისთვის უცნობია, როგორ აღმოჩნდა პარტიულ სიაში. 28 სექტემბერს მან განცხადებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას და ცესკოს, მოითხოვა პარტიულ სიაში რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და სრული დოკუმენტაციის გადმოცემა, რომელიც საფუძვლად დაედო მისი რეგისტრაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას.

კაპანაძის თქმით, თავდაპირველად, საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციიდან მოხსნასა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის გადაცემაზე, თუმცა ხელახალი კომუნიკაციის შემდეგ ინფორმაცია მიაწოდა. მისი განცხადებით, სააღრიცხვო ბარათზე გაყალბებულია ხელმოწერა, რის გამოც გენერალურ პროკურატურას განცხადებით მიმართა. საია მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი, სავარაუდოდ, შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის - ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ნიშნებს.[59]

---

[51] №60 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zRUSHL2, განახლებულია: 23.10.2021.

[52] „ოცნების" კანდიდატმა სოფელ ძიმითის მოსახლეობას წყლის ავზები უყიდა - ოპოზიცია ტიტე მგელაძის არჩევნებიდან მოხსნას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „მთავარი არხი“, 2021 წლის 27 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/pRUSZii, განახლებულია: 23.10.2021.

[53] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3-252-21 (#010310021005063597).

[54] მოსარჩელეთა განმარტებით, რადგან მერობის კანდიდატი, ზოგადად, მონაწილეობდა კამპანიაში, მოსყიდვა მის სასარგებლოდაც მოხდა.

[55] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3-252-21 (№010310021005063597).

[56] იქვე.

[57] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]-ე მუხლი.

[58] იქვე.

[59] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი.

სოფიო ჯოჯუას საქმე - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

27 სექტემბერს სოფიო ჯოჯუასთვის ცნობილი გახდა, რომ ის რეგისტრირებულია პოლიტიკური პარტია „გირჩის“ პროპორციულ სიაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში.[60] მან საიას წარმომადგენელთან საუბრისას განმარტა, რომ ამ პარტიასთან არავითარი კავშირი არ აქვს, სიის შედგენისას მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებიათ, ხოლო მას არ გაუცია თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე.[61]

სოფიო ჯოჯუამ 29 სექტემბერს განცხადებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა პარტიულ სიაში რეგისტრაციის გაუქმება, ასევე სრული დოკუმენტაციის გადმოცემა, რომელიც საფუძვლად დაედო კანდიდატად მის რეგისტრაციას.[62] კომისიამ მოქალაქის მოთხოვნა კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.[63] გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საკუთარი განცხადებით კანდიდატურის მოხსნის ვადა ამოიწურა.[64] საია მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი, სავარაუდოდ, შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის - ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ნიშნებს.

პირადობების საქმე - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

30 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციაში გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის წევრმა ანა წითლიძემ „ქართული ოცნების“ შტაბის წევრები მოქალაქეებისთვის წინასაარჩევნოდ პირადობის მოწმობების ჩამორთმევაში დაადანაშაულა.[65] მისი თქმით, ადგილობრივებს პირადობის მოწმობებს „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ართმევდნენ.[66] ამავე ბრიფინგზე გასაჯაროვდა ვიდეომასალა, რომელშიც ფიგურირებდნენ „ქართული ოცნების“ წევრი მაყვალა ანთია და ზუგდიდის თეატრის მსახიობი მერაბ კაკალია.[67] კადრებში ჩანს ათობით პირადობის მოწმობა, რომლებიც, სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლებს ეკუთვნოდა.[68] ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მათ დაბრუნებას ითხოვდნენ. ეს ფაქტი, სავარაუდოდ, შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის - არჩევნებში ნების გამოვლენის ხელშეშლის ნიშნებს.[69]

[60] სოფო ჯოჯუას №49-236 განცხადება თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას.
[61] იქვე.
[62] იქვე.
[63] №49 საოლქო საარჩევნო კომისიის საპასუხო წერილი №49/71. 29.09.2021.
[64] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[65] „წითლიძე: ვასაჯაროებთ კადრებს, რომელშიც ჩანს მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული პირადობები და პროცესში ჩართული პირები“, საინფორმაციო პორტალი „ათინათი“, 2021 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/eROqRc2, განახლებულია: 24.10.2021.
[66] იქვე.
[67] „ენმ-მ გაასაჯაროვა ზუგდიდის სოფელ რიყეში გადაღებული ვიდეომასალა, რომელიც, მათი მტკიცებით, ასახავს ფაქტს, თუ როგორ მოახერხეს მათ მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული პირადობების დაბრუნება“, რადიო „ათინათის“ Facebook-გვერდი, 2021 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/KRUDuWF, განახლებულია: 24.10.2021.
[68] იქვე.
[69] სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი.

შემთხვევა, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდში (1-ლი აგვისტო – 24 სექტემბერი) მოხდა, მაგრამ საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შესაბამის ანგარიშში არ შევიდა, იმ მომენტისთვის მასზე საკმარისი ინფორმაციის არქონის გამო

სალომე ღონღაძის საქმე (პარტია „საქართველოსთვის“) - პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

24 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, პარტია „საქართველოსთვის“ ლაგოდეხის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატის სალომე ღონღაძის ავტომობილს საბურავები დაუხვრიტეს.[70] საიას წარმომადგენელთან საუბრისას მან განაცხადა, რომ მომხდარ ფაქტს თავის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. იმ დღეს, როდესაც მანქანა დაზიანებული დახვდა, ის სასამართლოში მიდიოდა მისი თანამდებობიდან გადაყენების საქმეზე სარჩელის შესატანად. სალომე ღონღაძის თქმით, პოლიციისთვის არ მიუმართავს. შემთხვევა შეიცავს სხვისი ნივთის დაზიანებისა ან განადგურების[71] ნიშნებს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

[70] სალომე ღონღაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/TRUDppn, განახლებულია: 05.10.2021.
[71] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი.